მისია

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ მისიაა, შექმნას პროფესიონალიზმის ზრდადობაზე დაფუძნებული, ჯანსაღი სასწავლო გარემო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდა თაობისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სერვისების მიწოდების გზით - მიიღონ თანამედროვე ტიპის განათლება, მათი საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი პოტენციალი და მოახდინონ ინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში.

ხედვა

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსი“, 2030 წლის ბოლომდე გეგმავს, უზრუნველყოს სკოლაში არსებული მატერიალური და ინტელექტუალური რესურსის, ასევე, ღია და გამჭირვალე, კონკურენტული გზით მოძიებული ახალი კადრების პროფესიონალიზმის და კომპეტენციების იმ მასშტაბის განვითარება, რომ საქართველოს ფარგლებში სკოლა გახდეს ზოგადი განათლების სერვისის თვალსაჩინო მიმწოდებელი არაქართულენოვანი მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

ღირებულებები

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მიდგომებითა და პრონციპებით:

- საკუთარი შესაძლებლობების და მიღწეული შედეგების მუდმივი ზრდა-განვითარება.
- ინოვაცია და კრეატიულობა;
- თანამშრომლობითი კულტურის დანერგვა და პასუხისმგებლობის გაზიარება;
- ტოლერანტობა და ურთიერთპატივისცემა.